პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 28 (13710) | ხუთშაბათი, 2 თებერვალი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

დიად თარიღს ღირსეული შეხვედრა

საიუბილეო ვალდებულებანი

◆ **ახალი** შრომითი სიჩუქრები მოვუმზადოთ დიადი ოქტომბრის 50 წლისთავს — ასეთი დევიზით შრომობს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის კოლექტივი და წარმატებით იბრძვის სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრი ვალდებულების გასანაღდებლად.

მანქანათმშენებლებმა იანვრის საწარმოო დავალება ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით თორმეტი ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვეს. მომხმარებელმა საწარმოებმა დამატებით მიიღეს ჩაის ხარეფ მანქანათა რკალების 15 კომპლექტი და სხვა სახის მანქანები.

საიუბილეო წლის პირველ თვეში დაწინაურდა საამქროს კომუნისტური შრომის ის ბრიგადა, რომელსაც ი. მაჩაბელი ხელმძღვანელობს. ამ ბრიგადამ იანვრის დავალება 170 პროცენტით გაანადღა. ბრიგადის წევრები შ. უგანიძე, ძმები ვ. და დ. ყელტიკოვები ყოველდღიურ საწარმოო გეგმას 130-135 პროცენტით ასრულებენ. ბრიგადამ გადაწყვიტა წლიური გეგმა შეასრულოს ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავზე.

◆ **ჰიათურა.** (საკ. კორ.). სადღესასწაულო შეჯიბრებაში დაწინაურდა ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელმაც ხუთი დღით ადრე შეასრულა მაღალხარისხოვანი მარგანეცის დამზადების იანვრის დავალება და თებერვლის ანგარიშში მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნა ათასობერ ტონა მარგანეცი.

საიუბილეო ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ ვ. ფხალაძის, ბ. კენჭოშვილის, ვ. ჩხიკვაძის საწარმოო კოლექტივები, პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკა.

◆ **თბილისის** სამოდელო ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივმა იანვრის საწარმოო დავალება გადაჭარბებით შეასრულა და გეგმის გადამეტებით 289 წყვილი ფეხსაცმელი გაუგზავნა მომხმარებელს.

ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა წებოს მეთოდით ფეხსაცმლის შემკერავი საამქრო, რომელსაც გ. ასლამაზაშვილი უძღვება. ამ საამქროს ანგარიშზეა 788 წყვილი ზეგეგმითი ფეხსაცმელი.

მუდამ ეპოქის მხარდამხარ

ნელევანდელი წელიწადი განსაკუთრებულია ყველა ჩვენგანისათვის, „მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქის“ მშენებელი ადამიანებისათვის. ახლა ყველას ერთი საერთო საზრუნავი გვაქვს — რაც შეიძლება ხელსაყოფნად და გულსაყოფნად შეეხვედეთ ოქტომბრის ორმოცდამეათე წლისთავს. ორმოცდაათი წელიწადი მარტო ნახევარსაუკუნოვანი გზა როდია, ეს სიბერმაგისა და სიბრძნის ასაკიც არის...

აი სწორედ ბრძოლითა და შრომით გამოვლილი ამ ნახევარ-საუკუნოვანი გზის, ამ სიბერმაგისა და სიბრძნის უტყუარი მატიანეა ჩვენი ლიტერატურა და ხელოვნება.

„ოქტომბრის 50 წელი. — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის 4 იანვრის დადგენილებაში, — ეს არის კულტურული რევოლუციის განხორციელება. სოციალიზმმა საბჭოთა ხალხს მოუტანა გაბედნიერება, განუხრელად აამაღლა და შეამდიდრა საზოგადოების სულიერი ცხოვრება... სოციალისტური კულტურა, ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებმაც შეინისნლხორცეს ჭარსული საუკეთესო მიღწევები, საერთო პროლეტარული საქმის განუყოფელი ნაწილი გახდნენ, აქტიურად უწყობენ ხელს კომუნისტური საზოგადოების ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის აღზრდას“.

წელს მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავიანთი დაძაბული შემოქმედებითი შრომის შედეგებს შეჯამებენ ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწენიც. ჩვენს ლიტერატურასა და ხელოვნებას კი, შეიძლება ითქვას, ცოტა როდი აქვს შესაჯამებელი და საამაყო.

დიდი ოქტომბერი, რომელმაც ხელფეები გაუხსნა ხალხის შემოქმედებითს ძალებს და ადამიანებს შორის დაამკვიდრა სრულიად ახალი, ისტორიისათვის მანამდე უცნობი საზოგადოებრივ-ეკონომიური ურთიერთობა, შემობრუნებას ნიშანსვეტი გახდა ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაშიც. ერთიცა და მეორეც, ამ სიტყვის სრული და ზუსტი გაგებით, ახალი სამყაროს მშენებელი ხალხის ჭეშმარიტ კუთვნილებად იქცა.

აი სწორედ ამ ხალხის ინტერესები, კომუნიზმის კეთილშობილური იდეალები განსაზღვრავენ სოციალისტური რეალიზმის ლიტერატურისა და ხელოვნების ხასიათსა და შინაარსს. ხალხის ცხოვრება, კომუნისტური პარტიის პოლიტიკა ყოველთვის იყო, არის და იქნება შთაგონების უშრეტი წყარო ჩვენი მწერლებისათვის, მხატვრებისათვის, კომპოზიტორებისათვის, მსახიობებისათვის. ისინი, ცნობილი სიტყვებით რომ ვთქვათ, თავიანთი გულის კარნახით იღვწიან, ხოლო მათი გული ხალხსა და პარტიას ეკუთვნის. ისინი საგულდაგულოდ ქმნიან ისეთ ხელოვნებას, რომელიც ხელს უწყობს პარტიისა და ხალხის ზოგადი ამოცანების გადაქცევას ოვითეული საბჭოთა ადამიანის პირად მორალურ მოვალეობად.

კომუნისტური პარტიის საქმიანობა მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ყველა მხარეს, კომუნისტური მშენებლობის ერთიანი კალაპოტით წარმართავს შრომისა და შემოქმედებითი ძიების სულ სხვადასხვა სფეროში მომუშავე ადამიანთა მეცადინეობას. ეს ობიექტური აუცილებლობაა, ერთ-ერთი მკაფიო გამოვლინებაა დემოკრატიული ცენტრალიზმისა, რომელიც ორგანულად სჩვევია ჩვენს საზოგადოებას. მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული ავანგარდის ხელმძღვანელობით ხდება რეალიზაცია ნამდვილი კოლექტიურობის განვითარების მოთხოვნებისა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ შორის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ეს შემოქმედების თავისუფლების უარყოფა როდია, როგორც ფარისევლურად სახავენ იმპერიალიზმის იდეოლოგები ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობას, არამედ ახალი თავისუფლების უზრუნველყოფაა კაცობრიობის დიადი იდეალების გულისათვის.

ახალი ჩვენ თვითონ უნდა დავამკვიდროთ. ჩვენ მაგიერ ამას არავინ არ გააკეთებს. მწერლის ნამდვილი გაბედულებაა არა მარტო ის, რომ გამოავლინოს და ამხილოს ძველი, არამედ ის, რომ ფლობელი ბრძოლა გაუმართოს მას, დაძლიოს იგი. მწერლის ნამდვილი გამბრიალობა ის არის, რომ დაინახოს არა მარტო ძველი, არამედ უწინარეს ყოვლისა — ახალი და გზა ძველიდან ახლისაკენ.

ხაზოგადების ცხოვრების ცალკეული ფაქტების წარმოსახვა, კიდევაც რომ შეესაბამებოდეს ეს სინამდვილეს, მხატვარი კიდევაც რომ გვეხმარებოდეს ამ ცალკეული და უსიამოვნო ფაქტების დანახვაში, — ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდია. ყველაზე მთავარია ის, თუ რა კავშირი აქვს ხაერთო პირობებთან იმ ცალკეულ ფაქტებს, რომლებსაც მხატვარი ხატავს, როგორ უწყობს ხელს ბრძოლას მის მიერ გამოვლინებულ ბორტებასთან. ჩვენი საბჭოთა მწერალი კი მოვალეა ხელს უწყობდეს ადამიანებს მათს ბრძოლაში ახლისათვის, ძველის წინააღმდეგ, ეხმარებოდეს მათ შეიგნონ ის, რომ ძველთან შეტაკებაში თვითეული საბჭოთა ადამიანი მარტო როდია, რომ მას აქვს მძლავრი დასაყრდენი — პარტია, მთელი საბჭოთა ფყობილება.

სწორედ ამაში იჩენს თავს საბჭოთა ლიტერატურის აღმზრდელობითი როლი. ზოგიერთი კრიტიკოსი და ლიტერატორი აღზრდის ცნებას ზღუდავს სკოლარობით: ხელოვნება და ლიტერატურა ზოგჯერ მიიჩნია სულ ბევრი თვალსაჩინო სახელმძღვანელოდ. მხატვრულ ნაწარმოებთა ალმზრდელობითი როლის ასეთი გაგება მოწმობს არა მარტო იმას, რომ არ ესმით ხელოვნებისა და ლიტერატურის ბუნება, არამედ კიდევაც უგულებელყოფენ საბჭოთა ადამიანის პიროვნებას, როცა მკითხველი წარმოდგენილი ჰყავთ რომელიღაც პასიური ობიექტის სახით. არა, ჩვენი საბჭოთა მკითხველი თავისი საზოგადოების აქტიური, შეგნებული, კულტურული და მომთხოვნი მოკალაქეა.

ჩვენი დროის დადებითი გმირის სახეთა შექმნა უფეველია ჩვენი ლიტერატურისა და ხელოვნების ალმზრდელობითი ზემოქმედების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფორმაა, და რაც უფრო ახლოა გმირის სახე და მისი საქმიანობის გარემოებანი რეალური ცხოვრების მთელ სიხრულესა და სირთულესთან, მით უფრო მეტია მისი ზემოქმედება მკითხველზე.

საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი მეთოდია სოციალისტური რეალიზმი. ეს არის თავისი ბუნებით ღრმა დიალექტიკური პრინციპი და მეთოდი ხელოვნებისა, რომლის აზრია დაამკვიდროს სიცოცხლის მოტრფიალე ახალი ადამიანი და ახალი წყობილება. და კრიტიკის პარტიული მოვალეობაა უნარიანად უწყობდეს ხელს ასეთ ხელოვნებას მისი იდეურ-აღმზრდელობითი და ესთეტიკური ფუნქციის შესრულებაში.

სოციალისტური რეალიზმის მეთოდი ლიტერატურასა და ხელოვნებას მტკიცე სტანდარტებს კი არ უკარნახებს ნაწარმოების თემის შერჩევაში, მისი ფანრის, სტილისა და ფორმის განსაზღვრაში, არამედ უფართოეს ინიციატივას ანიჭებს კომუნიზმისათვის ბრძოლის ფარგლებში.

კომუნიზმისათვის ბრძოლა ის ფარგლებია, ახალი ცხოვრებისათვის ამ ბრძოლის გზაზე არაერთი ხარკი აქვს მოპოვებული ჩვენს ქართულ საბჭოთა ლიტერატურასა და ხელოვნებას. მაგრამ განსაკეთებული და მოსაპოვებელი კიდევ უფრო მეტია. მომავალ საიუბილეო დონისძიებათა მასშტაბი მეტად დიდია და უკვე აქედანვე მოითხოვს ფრიად დაძაბულ შრომას.

ქართულმა საბჭოთა ლიტერატურამ და ხელოვნებამ როგორც ყოველთვის, კვლავაც ნათლად, მთელი სიცხადით უნდა აჩვენოს ყველას, თუ რა ფართო გზა გაუხსნა ოქტომბრის რევოლუციამ ქართველ ხალხს თავისი კულტურის — ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის მწვერვალებისაკენ.

აი სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს, როცა გმირული შრომის შედეგად ლენინის ორდენებით მკერდდამშვენებული საბჭოთა საქართველო თვალსაჩინო წარმატებებს აღწევს, რათა სახელოვნად შეხვდეს დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს, პარტია და ხალხი ჩვენი შემოქმედებითი მუშაკებისაგან მოელიან ახალ მნიშვნელოვან ნაწარმოებებს, სადაც მაღალმხატვრულად და მაღალიდეურად იქნება ასახული ყოველივე ის დიადი, რასაც ოქტომბერმა დაუდო სათავე.

ქართველ პოეტს სწორედ ჩვენი ხალხის გმირულ გზაზე ფიქრმა ათქმევინა შესანიშნავი სიტყვები — ამ ცეცხლს გაუმარჯოს და იმ გათენებასო. დღეს ამ სიტყვებს ყველანი ერთად ვიმეორებთ. ვიმეორებთ ოქტომბერზე ფიქრით, საბჭოთა ფიქრით და იმ ცეცხლისა და გათენების მადლში ვხედავთ ხვალინდელი დღის შუქსაც.

ვინ იქნება სამახსოვრო-საიუბილეო დროშების მფლობელი

წინადადება მიღებულია

რუსთავი. (საკ. კორ.). მაღალი წარმატებით დაამთავრა გასული წელი ბოლნისის ავტოსატრანსპორტო კანტორის კოლექტივმა (უფროსი გ. გოგეშვილი, მთავარი ინჟინერი შ. კილაძე). ნაცვლად 1.147.400 ტონისა კოლექტივმა გადაზიდა 1.431.264 ტონა ტვირთი და 20 დეკემბრისათვის შეასრულა წლიური დავალება.

თბილისელ ელმავალმშენებელთა წინადადების საპასუხოდ გაშალონ ბრძოლა საიუბილეო-სამახსოვრო დროშის მოსაპოვებლად — აქაურმა ტრანსპორტელებმა იკისრეს საიუბილეო წლის გეგმა ყველა მაჩვენებლების მიხედვით 7 ნოემბრისათვის გაანაღდონ, ამასთან საბარგო ავტომანქანაზე 2,5 პროცენტით შეამცირონ ტვირთზიდვის ღირებულება, ხოლო მსუბუქ ავტომანქანებზე — 5 პროცენტით, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცენ 5 ათასი მანეთი მოგება.

„ხარისხის დღე“ ფაბრიკაში

ორჯონიკიძე. (საკ. კორ.). ავეჯის ხარისხის ამაღლებისათვის მარელისის გრეხილი ავეჯის ფაბრიკაში შემოიღეს „ხარისხის დღე“. ასეთ დღედ დადგენილია ყოველი ორშაბათი. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ორშაბათს მსჯელობენ ხარისხზე, საფაბრიკო მარკის ამაღლებაზე. პირიქით, განსაკუთრებით სწორედ ორშაბათიდან მახვილდება ფაბრიკის კოლექტივის ყურადღება, რომ უწუნოდ იმუშაონ ყოველდღიურად.

ამ დღეს თითბირზე განხილავენ წინა კვირის მუშაობის შედეგებს, ტექნოლოგიური პროცესების დაცვის, წარმოების კულტურის, რიგმუელი მუშაობისა და საერთოდ ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს, კიცხავენ წუნის მკეთებლებს, განაზოგადებენ მოწინავეთა გამოცდილებას.

საფაბრიკო მარკის ამაღლებაში დიდი წვლილი შეაქვთ რაციონალიზატორებს. ამ მიზნით გამოცხადებულია რაციონალიზატორთა სპეციალური კონკურსი.

ცხინვალის № 9 სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50-ე წლისთავის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგას, უკვე მიაღწია კარგ შედეგებს. ხუთწლედის მეორე წლის პირველი თვის გეგმა 25 იანვრისათვის შეასრულა. დავალების გადამეტებით დაამზადა ათეულ ათასობით სამკერვალო ნაწარმი.

წინასაოქტომბრო შეჯიბრების მოწინავეთა შორის არის საეჭსპერიმენტო საამქროს ჩამბარებელი, კომკავშირელი იზოლდა ხუჩაშვილი. იგი მოწინავეა არა მარტო შრომაში, არამედ სპორტშიც.

წვრილკალიბრიანი შაშხანით სროლაში ძირეული კოლექტივების შეჯიბრებაში იზოლდამ პირველი ადგილი დიაკავა.

ხუროთმოძღვარი: იზოლდა ხუჩაშვილი.

ფოტო ვ. უბოფენკოსი (საქდესის ფოტოქრონიკა).

მოსკოველები — სახელოვან იუბილეს

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ გამოიწვია მოსკოვის მშრომელთა შემოქმედებითი ძალების უდიდესი მოზღვავება, მხურვალე მისწრაფება საბჭოთა ხელისუფლების სახელოვან იუბილეს შეხვდნენ უფრო მაღალი მიღწევებით სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში. დედაქალაქის საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა აწონ-დაწონეს თავიანთი რეზერვები და იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი 1967 წლისათვის.

გადაწყვეტილია პროდუქციის მოცულობისა და პროდუქციის მეტწილ უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა შეასრულონ ვადამდე — 27 დეკემბრისათვის, ხოლო ათი თვის გეგმა — 28 ოქტომბრისათვის, წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმურ დავალებებს ერთნახევარჯერ გადააჭარბონ.

ქალაქ მოსკოვის მშრომელებმა იკისრეს ვალდებულება 1967 წელს მსოფლიო ნიმუშების დონემდე აიყვანონ 266 სახეობის მანქანა, ხელსაწყო და მასალა, წარმოებაში დანერგონ 630 უფრო სრულყოფილი მანქანა, ხელსაწყო და მასალა.

მოსახლეობის მოთხოვნილების კიდევ უფრო სრული დაკმაყოფილებისათვის დასახულია ათთვისონ 845 ტრიკოტაჟის, 2.530 სამკერვალო ნაწარმის ახალი მოდელის, 540 ფეხსაცმლის მოდელის, 100 სახეობის კვების პროდუქტების, ახალი სარეცხი მანქანების, საოჯახო მაცივარ „ზილ“-ისა და სხვა საქონლის წარმოება.

მიმდინარე წელს მოსკოვის მრეწველობის მუშაკები გააძლიერებენ სოფლის მშრომელებისადმი ყოველმხრივ დახმარებას.

სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციათა, საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები ვალდებულებას კისრულობენ საიუბილეო წელს ხაექსპლოატაციოდ გადასცენ 6.700 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან 100 ათასი კვადრატული მეტრი გეგმის გადამეტებით, 32 სკოლის შენობა, 28 ათას ადგილიანი სბავშვო ბაღები და ბაგები. 2.250-საწოლიანი საავადმყოფოები, 25 პოლიკლინიკა, 10 კინოთეატრი, სამი ფაბრიკა — სამრეცხაოები და ტანსაცმლის ქიმიური წმენდის საწარმოები, 50 ათასი ტონა ტევადობის ბოსტნეულსაცავი. ოქტომბრის 50 წლისთავისათვის საექსპლოატაციოდ გადაეცემა ექვსი ათას ადგილიანი სასტუმრო „როსია“, სრულიად საკავშირო სატელევიზიო ცენტრის ძირითადი ნაგებობანი და ოსტანკინოს სატელევიზიო კოშკი, სავაჭრო-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა კომპლექსი და სამი ათას ადგილიანი კინოთეატრი კალინინის პროსპექტზე, კინოთეატრი სევერნოე იზმაილოვოში, კინოს სახლი, ავეჯის სახლი ლენინის პროსპექტზე, ესტაკადა სამოტჩნიას მოედანზე.

საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისათვის კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს მოსკოველმა რკინიგზელებმა, საავტომობილო ტრანსპორტის მუშაკებმა, საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის საწარმოთა მუშაკებმა, მოსკოვის სანაოსნო მუშაკებმა, საგარანსპორტო ავიაციის მუშაკებმა.

იკისრეს რა ეს სოციალისტური ვალდებულებანი, მოსკოველებმა მოუწოდეს ლენინგრადის მშრომელებს ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა და სკკპ პროგრამის განხორციელებისათვის. (საკდესი).

ამხანაგი იოსიპ ბროზ ტიტო მოსკოვიდან გაემგზავრა

31 იანვარს მოსკოვიდან გაემგზავრნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის თავმჯდომარე იოსიპ ბროზ ტიტო მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირნი. იოსიპ ბროზ ტიტო ხანმოკლე არაოფიციალური ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ კიევის ეაგზალზე აეხლნენ ი. ბროზ ტიტო და მისი თანამგზავრები გააცილეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა მეუღლითურთ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს პირველმა მოადგილემ კ. ტ. მაზეროვმა მეუღლითურთ და სხვებმა. (საკდესი).

ნ. ვ. პოდგორნი იტალიიდან დაბრუნდა

31 იანვარს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, რომელიც იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯუზეპე სარაგატის მიწვევით რვა დღეს სახელმწიფო ვიზიტით იყო იტალიაში. ნ. ვ. პოდგორნისთან ერთად მოსკოვში დაბრუნდნენ მისი თანმხლები პირნი. აეროპორტში, რომელიც მორთული იყო საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, ნ. ვ. პოდგორნისა და მის თანმხლებ პირებს შეხვდნენ კ. ტ. მაზეროვი, დ. ს. პოლიანსკი, დ. თ. უსტინოვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდესი).

ვ. პ. მეჟავანაძე სოფხეთში

ერევანი, 1 თებერვალი. (ხომხდესი). ერევანში გაიმართა ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო საბჭოს მორიგი სხდომა, რომელიც განიხილა საკითხი „ოლქის ჯარებში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისთვის მზადების შესახებ“.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ სამხედრო საბჭოს წევრები სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟავანაძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო, რომლებიც ერევანში იმყოფებიან, და მათთან ერთად სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ქოჯინიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ა. მურადიანი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ბ. ა. ტერ-ლაზარიანი, სომხეთის კომპარტიის ერევნის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. პ. ღარიბჯანიანი გაეცნენ კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟავანაძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ე. ქოჯინიანი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო და სხვები.

სხდომაზე განიხილეს და მოიწონეს საბჭოთა ხელისუფლების 50 წლისთავისათვის მზადების ღონისძიებანი.

ეცნობიან ერევანს

ერევანი, 1 თებერვალი. (სომხდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მეჟავანაძე, აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ი. ახუნდოვი, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი არმიის გენერალი ა. ტ. სტუჩენკო, რომლებიც ერევანში იმყოფებიან, ერევანს, ქალაქის ახალშენებათა რაიონებს, სტუმრებმა დაათვალიერეს სომხეთის ხელოვნების ახალი მუზეუმი, ერევნის ფიზიკის ინსტიტუტის ელექტრონულ წრიულ ამჩქარებელს. აქ სტუმრებს შეხვდნენ სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სწავლული მდივანი ს. ხ. მკრტჩიანი, სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გ. მ. ღარიბიანი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ხ. კ. ეხინი, ინსტიტუტის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კოლექტივის წარმომადგენელთა დიდი ჯგუფი.

ვ. პ. მეჟავანაძე, ვ. ი. ახუნდოვი და ა. ტ. სტუჩენკო ერევნიდან გაემგზავრნენ.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

მოსკოვი, 1 თებერვალი. (საკდესი). დღეს მოსკოვის პიონერთა სასახლეში ლენინის გორაკზე მუშაობა დაიწყო სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე პლენუმმა. პლენუმი გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა.

პლენუმი განიხილავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს, პიონერული მუშაობის პრობლემებს, დიდი ოქტომბრის ორმოცდაათი წლისთავისათვის ჩვენი ქვეყნის კომკავშირული ორგანიზაციების მზადების ამოცანებს.

გიგანტი საკმეარო

ტაბანრობის მეტალურგიულ ქარხანაში შეყოფრში ჩადგა მილსაგლინავი. გიგანტი საამქრო. საკდესის კორესპონდენტი იუწყება, რომ 27 იანვარს სახელმწიფო კომისიამ საექსპლოატაციოდ მიიღო მისი პირველი რიგი.

ფოლადის, ბეტონისა და მინის უნარიანარ შენობაში, ყველაფერი, დაწყებული ღუმელებში ზოდების მიწოდებით და დამთავრებული მზა მილების მიღებით მექანიზებულია.

საიუბილეო წლის „ახალმოსახლენი“

ურალი. საავტომობილო ქარხანაში მწყობრში ჩადგა ფოლადის სამსხმელო საამქრო. 31 იანვარს „ურალავტომშენი“-ტრესტის მშენებლებმა საექსპლოატაციოდ გადასცეს მისი პირველი რიგი, იუწყება ჩელიაბინსკის ოლქის მიასიდან საკდესის კორესპონდენტი ა. ფილიპენენკო. საამქრო გადაჭიმულია 17 ათას კვადრატულ მეტრზე. იგი წელიწადში გამოუშვებს 30 ათას ტონა ფოლადის სხმულს, რომელიც მოხმარდება მძლავრი ურალური ყველაზამავალი სატვირთო ავტომობილების წარმოებას. სხმულის ნაწილი გაეგზავნებათ ურალს, ურალიმიერი, ვოლგისპირეთის, ყირიმის, ამიერკავკასიის მანქანათმაშენებელ საწარმოებს.

ახალ საამქროში ხუთი ელექტროფოლადსადნობი ღუმელია, ნახევარი კილომეტრი სიგრძის ორი კონვეიერი, ლენტური, ფირფიტოვანი, კიდული ტრანსპორტიორები. ავტომატიზებული მიწასამზადი სისტემები, რომლებიც მნიშვნელოვნად ამსუბუქებენ ჩამომსხმელთა შრომას.

მაღალი ზოდება

ეკონომიკის მეცნიერების განვითარებაში დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ოთხმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აკადემიკოს სტანისლავ გუსტავის-ძე სტრუმილინს მიანიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება და ჯადასცა ლენინის ორდენი და ოქროს medaliონი „ნამგალი და ურო“. (საკდესი).

ერთსულოვნად მოიწონეს

30 იანვარს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მუდმივ წარმომადგენლობათა პარტიული აქტივის კრება.

მოხსენება „სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წ.) პლენუმის შედეგების შესახებ“ გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ დ. ს. პოლიანსკიმ.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. (საკდესი).

ხელშეკრულების ხელმოწერა გრძელდება

30 იანვარს მოსკოვში გრძელდებოდა დადება ხელშეკრულებისა „კოსმოსური სივრცის, კერძოდ მთვარისა და სხვა ციური სხეულების კვლევისა და გამოყენების დარგში სახელმწიფოთა საქმიანობის პრინციპების შესახებ“.

თავიანთი ქვეყნების სახელით ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს შვეიცარიის ელჩმა აუგუსტ რ. ლინდტმა, ინდონეზიის ელჩმა მანაი სოფიანმა, ბრაზილიის დროებითმა საქმეთა რწმუნებულმა არმინდო მენდეს კადაშამ, ავღანეთის ელჩმა მუჰამედ არეფმა, ურუგვაის ელჩმა ჟირხილიო სამპორიარომ.

სხვა ქვეყნების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერა გაგრძელდება (საკდესი).

ახალი ელექტროლუმელი

31 იანვარს ანდიჟანის მანქანათსაშენებელ ქარხანაში ფოლადი გამოუშვა პირველმა ელექტროღუმელმა.

ეს პირველი ნადნობი მოასწავებს ფერგანის ველის „მთავარი სამსხმელოს“ დაბადებას. მისი სრული სიმძლავრეა 26 ათასი ტონა ფოლადისა და თუჯის სხმული წელიწადში. ანდიჟანი სხმულით უზრუნველყოფს ველის ყველა მანქანათსაშენებელ ქარხანას.

(საკდესის კორ.).

სამშობლოს ჯილდოები

მშრომელთა მიერ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 28 იანვრის ბრძანებულებით ლენინის ორდენებით დაჯილდოვა ლუბანსკისა და პერმის ოლქები.

პარტიზანულ მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის, მამაცობისა და სიმტკიცისათვის, რომელიც ბრიანსკის ოლქის მშრომელებმა გამოიჩინეს დიდი სამამულო ომის პერიოდში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში, და ხახალხო მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაში მიღწეული წარმატებებისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბრიანსკის ოლქი დაჯილდოვა ლენინის ორდენით.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ოლქის მშრომელთა მიერ მიღწეული წარმატებებისათვის, ლენინის ორდენით დაჯილდოებულია უკრაინის სსრ პოლტავის ოლქი.

(საკდესი).

ღირსეულად შევხვდეთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს

საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა ვალდებულებანი

ვაიმართა საქართველოს საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა აქტივის კრება. მოხსენება — „**საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა ამოცანები მოსახლეობის მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების საქმეში და დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ**“ — გააკეთა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა **ფ. დუმბაძემ.**

კრებაზე აღინიშნა, რომ ბოლო დროს რესპუბლიკაში განსოფლდა საყოფაცხოვრებო სამსახურის მატერიალური ბაზის განმტკიცების, მისი ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებანი. ახლა საქართველოში მოქმედებს საყოფაცხოვრებო მომსახურების დაახლოებით 8 ათასი კომბინატი და პავილიონი, ატელიე, სახელოსნო, ქიმიური წმენდის ფაბრიკა და სხვა საწარმო, რომლებშიც მუშაობს 40 ათასი კაცი. მოსახლეობის მომსახურების სამუშაოთა მოცულობა წელს ქალაქად გაიზრდება 18 პროცენტით, სოფლად — 44 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ ქალაქისა და სოფლის მშრომელები მიიღებენ 36,8 მილიონ მანეთისაზე მეტ სხვადასხვა მომსახურებას, მწყობრში ჩადგება დაახლოებით 800 კომბინატი, პავილიონი, აბანო და საყოფაცხოვრებო სამსახურის სხვა დაწესებულებანი.

საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები საქმიანად ეზადებიან დიდი ოქტომბრის 50 წლისთავისათვის. ისინი ცდილობენ თავიანთი წელიანი შეიტანონ საიუბილეო ყულაბაში. სოხუმში, ბათუმში, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში აშენდა მსხვილი თანამედროვე საწარმოები — საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლები, ავტოსალონი, ავტოპროფილაქტორიუმები. მექანიზებული ხდება შრომატევადი პროცესები. განხორციელდა გარკვეული მუშაობა წარმოების კონცენტრაციისა და სპეციალიზაციისათვის, რამაც შესაძლებელი გახადა ოსტატების უკეთ გამოყენება, მნიშვნელოვნად გაიაფა სამუშაოთა ღირებულება, გაუმჯობესა შეკვეთების შესრულების ხარისხი და დაიჩქარა შესრულების ვადები, აამაღლა შრომის ნაყოფიერება.

მიუხედავად ამისა, ითქვა კრებაზე, ჯერ კიდევ სრულად როდი კმაყოფილდება მშრომელთა მოთხოვნები. ნაკლებად იყენებენ არსებულ შესაძლებლობებს, საყოფაცხოვრებო სამსახურის ზოგიერთი საწარმოს ხელმძღვანელები ყოველთვის კრიტიკულად როდი აფასებენ თავიანთი ობიექტების საქმიანობის შედეგებს.

უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება გაწეული სამსახურის თვითღირებულების შემცირებისა და რენტაბელობის ამაღლების საკითხებს. ამ მხრივ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრომ გარკვეული მუშაობა გასწია. მაგრამ ბევრ სახელოსნოში თვითღირებულების შემცირებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლების საკითხებს ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა. სარემონტო სამუშაოები ჯერ კიდევ ხელით სრულდება, სათანადო კონტროლს არ უწევენ ნედლეულისა და მასალების ხარჯვას.

საყოფაცხოვრებო სამსახურის საწარმოთა ხელმძღვანელები ჯეროვან ღონისძიებებს არ ახორციელებენ მომსახურების კულტურის ამაღლებისათვის. არადამაკმაყოფილებლად დგას რეკლამის საკითხიც. ქალაქებში, რაიონულ ცენტრებსა და დაბებში ხშირად ძნელად მიხვდებით, თუ სად მდებარეობს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოები, რა სახის სამუშაოებს ასრულებენ ისინი, რომელ საათებში მუშაობენ.

ბევრი გადაუჭრელი პრობლემაა კვალიფიციური კადრებით იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში; უნდა გააცნონ მუშა-მოსამსახურეებს სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სანინაო და საგარეო პოლიტიკა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წლის) პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალები, თვალსაჩინოდ დაანახონ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლის არსებობის მანძილზე მოპოვებული წარმატებანი. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საორგანიზაციო და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობით ხელი უნდა შეუწყონ ყველა რგოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საარჩევნო კამპანიის დროს მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება. ამ მიზნით კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, წითელ კუთხეებში, ბიბლიოთეკებსა და საერთო საცხოვრებლებში მოეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები ამომრჩეველებთან, აჩვენებენ მსატვრულ, სამეცნიერო-პოპულარულ და ქრონიკალურ-დოკუმენტურ კინოფილმებს, გაიხსნება არჩევნებისადმი მიძღვნილი გამოფენები. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თვალსაჩინო აგიტაცია, კედლის გაზეთები, რადიო, მსატვრული თვითმოქმედება საარჩევნო კამპანიის მომსახურებისათვის.

საარჩევნო უბნებში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ ამომრჩეველთა კლუბები, უზრუნველყონ ისინი სტენდებით, დიაგრამებით, პლაკატებით, ლიტერატურით, მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები. (საქდესი).

ბიულეტენი

ვ. ი. ლენინის პორტრეტიანი მარკების კოლექცია

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის ერთ-ერთ დარბაზში ყურადღებას იპყრობს კოლექცია საბჭოთა კავშირის და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების საფოსტო მარკებისა, რომლებიც მიძღვნილია ვ. ი. ლენინისადმი. ეს ძველი ბოლშევიკის, პერსონალური პენსიონერის დ. გ. კაზარნეცოს ძღვენია, დიდი პარტიულ-პოლიტიკური მუშაობისაგან თავისუფალ დროს მას შეუგროვებია ვ. ი. ლენინის პორტრეტიანი ყველა საფოსტო მარკა—საბჭოთა კავშირში გამოშვებული ასამდე და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში გამოშვებული — 21 მარკა.

პირველი მარკა ვ. ი. ლენინის გამოსახულებით გამოვიდა 1924 წლის იანვრის სამგლოვიარო დღეებში. იგი დაბეჭდილია უბრალო ნახევრადსაგზეთო ქაღალდზე, რომელსაც შავ ფონზე სხვადასხვა სიგანის წითელი არშია აქვს. მისი ავტორია მხატვარი ი. დუბასოვი.

სწორედ მაშინ მიეცა დასაწყისი ვ. ი. ლენინის — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის ხსოვნის მარკების სამგლოვიარო გამოშვებას.

შემდეგ ილიჩის პორტრეტიანი მარკები გამოდიოდა ყოველ წელიწადს, მისი დაბადების ან გარდაცვალების დღისათვის.

ერთ-ერთი მარკა გამოშვებულ იქნა დიდი ოქტომბრის 15 წლისთავთან დაკავშირებით. იგი მიძღვნილია ვ. ი. ლენინის გამოსვლისადმი ჯავშნიანი მანქანიდან ფინეთის ვაგზალთან პეტროგრადში 1917 წლის აპრილში. ეს მხატვარ ა. სუეოროვის ნამუშევარია.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალების მეათე წლისთავზე გამოშვებულ იქნა მარკა, რომელზეც გამოსახულია ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი. ეს მხატვარ ა. ვოლკოვის ნამუშევარია, იმავე წელს გამოდის ექვსი მარკისაგან შემდგარი სერია — მხატვრების ნ. ბოროვის, გ. ზამსკოისა და ი. განფიისა. ეს არის — ლენინი ბავშვობაში, ლენინი — ჭაბუკი, ვ. ი. ლენინის პორტრეტი, ლენინი ტრიბუნაზე, მშრომელები ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან მდიდან გაწლილი დროშებით და, ბოლოს, ი. ბ. სტალინის პორტრეტი ვ. ი. ლენინის ბარელიეფური გამოსახულების ფონზე.

ოქტომბრის 25-ე წლისთავისათვის გამოიცა ლენინური მარკების სერია, მათ შორის „ლენინი ტრიბუნაზე“. ეს სწორედ ის ტრიბუნაა, რომლიდანაც მან წარმოქვა შემოღგომი ლაპიერად ქცეული ფრაზა: „გამარჯვებისათვის“ — საჭიროა უდიდესი ბრძოლა, ხანგრძლივი რევოლუციური სამოქალაქო ომი“. ამ სერიაში ბოლო, მეექვსე ნიკავი გამოშვებულ იქნა ვ. ი. ლენინის დაბადების 75 წლისთავისთვის, 1945 წელს: „ვ. ი. ლენინი კითხულობს „პრავდას“, „ვ. ი. ლენინი სამუშაო მაგიდასთან“, „ვ. ი. ლენინი ტრიბუნაზე“, „ვ. ი. ლენინი კრემლში“ და „ლენინის პორტრეტი.“

როგორც ხედავთ, მარკების თვითეული გამოცემა ასახავს ამა თუ იმ სახელოვან ნიშანსვეტს დიდი ბელადის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში. აი გლეხთა წარმომადგენლები ლენინთან (მხატვარ სეროვის ცნობილი სურათის მიხედვით), აი ულიანოვების ოჯახი (1879 წელს), აი უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი, აი პიონერული ორგანიზაცია, რომელიც ილიჩის ძეგრფას სახელს ატარებს, აი ხაბეჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ნახევარსუფუნოვანი გზის ამსახველი მარკები. ყოველივე ეს აღელვებს საბჭოთა ადამიანს, აღტაცებაში მოჰყავს იგი.

ეს კოლექცია, რომელიც გულმოდგინედ და სიყვარულით შეუკრებია დ. გ. კაზარნეცოს, მთავრდება ვ. ი. ლენინის პორტრეტიანი მარკებით, რომლებიც გამოშვებულ იქნა შარშან ვ. ი. ლენინის დაბადების 96-ე წლისთავისა და სკკპ XXIII ყრილობის აღსანიშნავად.

ბ. პეტრუსენი.

ჩვენი საპატიო მოვალეობა

გადაწყვეტილია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების 11 თვის გეგმა შეასრულონ 7 ნოემბრისათვის, შრომის ნაყოფიერება შარშანდელთან შედარებით გაადიდონ 4 პროცენტით, მასალების, ნედლეულის, სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომიით ხარჯვის, მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვის გზით მიიღონ 150 ათასი მანეთი ზეგეგმითი მოგება.

კრებაზე ვალდებულება იკისრეს მომდინარე წლის პირველ ნახევარში საექსპლოატაციოდ გადასცენ საყოფაცხოვრებო სამსახურის 45 დიდი ობიექტი, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა შეასრულონ 20 დეკემბრისათვის, მოაწყონ საქალაქთაშორისო საყოფაცხოვრებო მომსახურების რესპუბლიკური სამსახური.

პროექტების გაუმჯობესების, სპეციალურ-სახარჯთალრიცხვო ღირებულების შემცირების, თანამედროვე იაფი და მტკიცე საშენი მასალების ფართოდ გამოყენებისა და სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესების გზით გადაწყვეტილია დაიზოგოს 100 ათასი მანეთი და ამ თანხის ხარჯზე დაიწყოს დავალების დამატებით ქიმწმენდიხა და თეთრეულის რეცხვის დიდი კომპლექსური საწარმოს შენებლობა, რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დაინერგოს 20 ახალი სახის მომსახურება.

კრების აქტივმა გადაწყვიტა 1967 წლის 7 ნოემბრისათვის თბილისში გაიხსნას ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის მოდელების რესპუბლიკური სახლი საუკეთესო მოდელების შემუშავებისა და წარმოებაში მათი დანერგვისათვის. საუკეთესო ნაწარმის პოპულარიზაციისათვის გამოსცეს სპეციალური ჟურნალი „საქართველოს მოდები“.

კრების მონაწილეებმა, რომლებიც ისწრაფვიან კიდევ უფრო განმტკიცონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი უდიდესი მონაპოვარი — ჩვენი ქვეყნის ხალხთა ლენინური მეგობრობა — და წარმატებით განახორციელონ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოძმე რესპუბლიკების — აზერბაიჯანისა და სომხეთის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკები. (საქდესი).

ORGANIZEBULAD ZEVAWYOT SASAXLO MSAJULTA ARCHEVNEBI

ხალხი და მართლმსაჯულება

ვ. მაისურაძე,
საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე

კანონიერების განმტკიცება, საბჭოთა მართლმსაჯულების წინაშე მდგომი ამოცანების სწორად გადაწყვეტა ყოველთვის იყო და იქნება პარტიული და საბჭოთა ორგანოების მზრუნველობისა და ყურადღების ცენტრში.

საბჭოთა ხელისუფლების ჯერ კიდევ პირველ დღეებში გამოქვეყნდა დეკრეტი სასამართლოს შესახებ, ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილი 1917 წლის 24 ნოემბერს. მასში მითითებული იყო აუცილებლობა ფართო საზოგადოების მონაწილეობისა მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში. აღნიშნულმა დეკრეტმა გააუქმა მეფის რუსეთის მანამდე არსებული სასამართლო უწყება და მყარი საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა სასამართლოს. დეკრეტმა პირდაპირ დაადგინა, რომ ადგილობრივ სახალხო სასამართლოებში საქმეებს წყვეტს შემადგენლობა, რომელშიც შედის მუდმივი ადგილობრივი მოსამართლე და ორი მსაჯული. დეკრეტის მე-2 მუხლში მითითებული იყო, რომ მსაჯულები მოწვეული უნდა ყოფილიყვნენ ყოველ ხესიაზე განსაკუთრებული სიებით, რომლებსაც ადგენენ მოსამართლეები და ამტკიცებენ მშრომელთა, ჯარისკაცთა და გლეხთა საბჭოები.

მართლმსაჯულების ორგანოები მჭიდროდ უნდა იყო დაკავშირებული საზოგადოებრივობასთან და ფართოდ ჩაბმულ იგი სასამართლო საქმიანობაში. მისი მონაწილეობა და მხარდაჭერა სასამართლო ორგანოების საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების პირობაა.

სსრ კავშირში მართლმსაჯულების გატარების საქმეში მონაწილეობს მშრომელთა ფართო მასა — 60 ეროვნების ნახევარ მილიონამდე სახალხო მსაჯული, რომელთა შორის ნახევარი ქალებია. მარტო ჩვენს რესპუბლიკაში არჩეულია 11.096 სახალხო მსაჯული. ეს ნათელი დადასტურებაა ამისა, თუ როგორ ხორციელდება ვ. ი. ლენინის ზემოხსენებული ბრძანება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 28 დეკემბრის ბრძანებულებით, იმის გამო, რომ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულების უფლებამოსილების ვადა მთავრდება მომდინარე წლის თებერვალში, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების აღმასკომმა, რაიონულმა და საქალაქო აღმასკომებმა მომდინარე წლის თებერვალში უნდა ჩაატარონ საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნები.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა თავის მხრივ 1966 წლის 30 დეკემბერს მიიღო დადგენილება საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების ჩატარებისათვის მზადების შესახებ.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის 123 მუხლისა და საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის 24 მუხლის საფუძველზე რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების მსაჯულებს ირჩევენ მუშათა, მოსამსახურეთა და გლეხთა სიერთო კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სამხედრო მოსამსახურეთა საერთო კრებებზე სამხედრო ნაწილებში ღია კენჭისყრით 2 წლის ვადით.

სახალხო მსაჯულთა ასარჩევად საერთო კრებებს იწვევენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მშრომელთა საზოგადოებრიობა. ამომრჩეველთა რაოდენობა 100 კაცზე ნაკლები არ უნდა იყოს. იმ შემთხვევაში, თუ ამომრჩეველთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები მოხდება სხვა საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამხედრო ქვედანაყოფების კოლექტივებთან ან დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩევლებთან ერთად.

რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მსაჯულთა არჩევნების საერთო კრება უფლებამოსილად ითვლება, თუ მასში მონაწილეობს იმ ამომრჩეველთა უმრავლესობა, რომლებიც მუშაობენ ამ საწარმოში, დაწესებულებაში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში.

რაიონულ (საქალაქო) სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა არჩევნებში მონაწილეობას იღებს ყველა მოქალაქე, რომელსაც შესრულებული აქვს 18 წელი.

სახალხო მსაჯულად შეიძლება არჩეულ იქნას სსრ კავშირის ყველა მოქალაქე, რომელსაც აქვს საარჩევნო უფლება და არჩევნების დღისათვის შესრულდა 25 წელი.

მართლმსაჯულების განხორციელებისას სახალხო მსაჯულებს დიდი უფლებები აქვთ. მაგალითად, საქართველოს სსრ სასამართლო წყობილების კანონის მე-17 მუხლში ჩაწერილია, რომ „სასამართლოში თავიანთი მოვალეობის შესრულების დროს სახალხო მსაჯულები სარგებლობენ მოსამართლის ყველა უფლებით“.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლით დაკანონებულია, რომ „...სახალხო მსაჯულები სარგებლობენ სამსაჯავრო სხდომის თავმჯდომარის თანაბარი უფლებებით ყველა იმ საკითხის გადაწყვეტაში, რომელიც წარმოიშობა საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს“.

საქმის განხილვისას სახალხო მსაჯული თუ არ ეთანხმება მოსამართლის გადაწყვეტილებას ან განაჩენს, უფლება აქვს დაწეროს განსაკუთრებული აზრი.

სახალხო მსაჯულთა მოღვაწეობა სასამართლოს საქმიანობაში არ ისაზღვრება სისხლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვაში მხოლოდ მონაწილეობით. ისინი მოწოდებულნი არიან ასევე აქტიური მონაწილეობა მიიღონ საქმის სრულყოფილად განხილვისათვის მომზადებაში. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავი-ნ 1962 წლის 14 მაისის დადგენილებით რეკომენდაცია მისცა სასამართლოებს მხარდაუჭირონ, გააგრძელონ სახალხო მსაჯულებთან მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები, უზრუნველყონ მათი აქტიური მონაწილეობა სასამართლოს ორგანოების მუშაობის, მართლწესრიგის განმტკიცებისა და დანაშაულობასთან ბრძოლის საქმეში.

ეს მუშაობა ყველაზე ეფექტური ჩანს იქ, სადაც შექმნილია სახალხო მსაჯულთა საბჭოები. მოვიყვანთ მაგალითს, თუ როგორ მუშაობს ერთი სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯულთა საბჭო.

ქ. თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოსთან (თავმჯდომარე ო. ღლონტი) არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭო სწორად წარმართავს თავის საქმიანობას. ცნობილია, რომ ეს მუშათა რაიონია და აქ მართლმსაჯულების განხორციელებაში საზოგადოებრიობისა და აქტივის ჩაბმას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. სწორედ აქეთკენ არის მიმართული სახალხო მსაჯულთა საბჭოს ყოველდღიური ხანგრძლივობა (თავმჯდომარე ა. არეშიძე) მუშაობა. სახალხო მსაჯულთა საბჭოსთან არსებობს სექციები, რომლებიც ამოწმებენ ქონების უქონლობის აქტებს ისეთი კატეგორიის საქმეებზე, როგორიც არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების დაკარგვა, მითვისება, გაფლანგვა ან სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, სწავლობენ მოხოვნელთა საჩივრების კანონიერებას. მაგალითად, თვით ა. არეშიძემ შეამოწმა მოქალაქეების დ. ცხოვრებოვისა და კ. გუმბაზაშვილის საჩივრები.

ვ ანსაკუთრებით საინტერესოა, რომ სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრები სისტემატურად ამოწმებენ, თუ როგორ შრომითს საქმიანობას ეწევიან და რა ღონისძიებას ახორციელებენ ის კოლექტივები და ორგანიზაციები, რომლებსაც სასამართლოს განაჩენით აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცათ ცალკეული მსჯავრდებული პირები, მაგალითად, სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრთა შემოწმებით დადგინდა, რომ მძღოლი კ. ტეგეგაშვილი, რომელიც აღსაზრდელად და გამოსასწორებლად გადაეცა № 2656 ავტოკოლონის ადმინისტრაციას, დადებითად ხასიათდება, შემნეული არ არის რაიმე ცუდ საქმიანობაში. ასევე კარგად ხასიათდება მილიციის არასაუწყებო დაცვის ბრიგადირი ვ. მარტიროსოვი, რომელსაც ადმინისტრაციამ მადლობაც კი გამოუცხადა. იგივე ითქმის მე-5 ავტოსატრანსპორტო კანტორის მძღოლ ა. ოამქარაშვილზე.

ცუდად როდი მუშაობს ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის სახალხო სასამართლოსთან (თავმჯდომარე ო. ისაკაძე) არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭო.

რესპუბლიკაში ცოტა როდი გვყავს ისეთი სახალხო მსაჯული, რომელიც თავის შრომითს საქმიანობას კარგად უხამებს სასამართლო საქმიანობაში აქტიურ მონაწილეობას. ერთ-ერთი მათგანია სოციალისტური შრომის გმირი, ქობულეთის რაიონის სოფელ ალამპრის კოლმეურნეობის წევრი, პერსონალური პენსიონერი დ. ნიკარაძე.

სოფელში მეზობლებს ან ნათესავებს შორის თუ რაიმე წალაპარაკება ან სამოქალაქო დავა მოხდა, სანამ სახალხო სასამართლოში საქმეს აღძრავდნენ, აუცილებლად დ.. ნიკარაძეს ჰკითხავენ რჩევა-დარიგებას. ვინ იცის, რამდენი ადამიანი შეურიგებია ერთმანეთთან და სწორად გადაუწყვეტია საკითხი, რის შემდეგ არც ერთ მხარეს აზრადაც არ მოსვლია მიემართა სასამართლოსათვის.

ასევე დიდი პატივისცემით სარგებლობს ბათუმის რაიონის სოფელ ახალშენში ცნობილი მეგრაელი, სოციალისტური შრომის გმირი, სახალხო მსაჯული მ. პარასკევაულო, რომლის მართალი და ჭკვიანი სიტყვისა ყველას სჯერა სოფელში.

თუ ამჟამად აჭარის ასს რესპუბლიკაში გასულ წლებთან შედარებით საკმაოდ გაუმჯობესდა სასამართლო ორგანოების მუშაობა, ამ საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი სახალხო მსაჯულებსაც მიუძღვით. ესენი არიან: ბათუმის რაიონის სოფელ თხილნარის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ს. ზაქარიაძე, ბათუმის გემთსაშენებლო ქარხნის მუშაკი შ. სიხარულიძე, ბათუმის მექანიკური ქარხნის ტექნიკური განყოფილების უფროსი ე. კაკაბაძე, ბათუმის რაიონის სოფელ ლედვის საექიმო უბნის ექიმის თანაშემწე ნ. ანანიძე და სხვ.

ქ. სოხუმის ელექტროხელსაწყოფების ქარხნის მუშა სახალხო მსაჯული შ. არშბა ქალაქის სახალხო სასამართლოსთან არსებული სახალხო მსაჯულთა საბჭოს წევრია. დაკისრებულ მოვალეობას იგი ყოველთვის კეთილსინდისიერად ასრულებს, აქტიურ მონაწილეობას იღებს სასამართლოს საქმიანობაში.

თავიანთ სამუშაო უბნებზე ავტორიტეტით სარგებლობენ და კანონიერების განმტკიცების საქმეში აქტიურად მონაწილეობენ სახალხო მსაჯულები — გუდაუთის რაიონის საშუალო სკოლის მასწავლებელი ეროვნებით ბოლონელი კ. ტარდავა, სოხუმის აეროპორტის ინჟინერი ვ. იურტაევი, გულრიფშის საავადმყოფოს მედიცინის და ო. შონია, ოჩამჩირელი აგრონომი მ. ზარანდია და სხვ.

ქ. ცხინვალში ყველა იცნობს რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს დ. მანიევს, რომელიც ამჟამად პენსიაზეა გასული. მას არც ახლა გაუწყვეტია კავშირი ხალხთან და ამავე დროს კეთილსინდისიერად ასრულებს სახალხო მსაჯულის მოვალეობას.

სახალხო მსაჯულები ქ. ცხინვალის სატყეო კომბინატის მუშა ხ. მამისთვალოვი, ქ. თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ინსტრუმენტების და საექსპერიმენტო საამქროს უფროსი ვ. ივანოვი, პლასტმასის ქარხნის სამრეწველო განყოფილების ინჟინერი ვ. კაკაბაძე, „საქვაჭრობის“ მუშაკი ნ. სარგაძე, № 1 ფეხსაცმლის ფაბრიკის მუშაკი მ. დანდუროვი პასუხისმგებლობით ეკიდებიან მსაჯულის მოვალეობას. სამსჯავრო სხდომაზე გასვლამდე სწავლობენ საქმეს, ანალიზს უკეთებენ მას და ამოწმებენ, რამდენად სწორად აქვს წარდგენილი სამართალში შეცდომული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლი.

იმის მაგალითებიც არის, რომ სახალხო მსაჯული არ ასრულებს ამომრჩეველთა ნდობას, თავს არიდებს სასამართლო პროცესში მონაწილეობას. ზოგიერთ სახალხო სასამართლოში კი უბულებელყოფილია სახალხო მსაჯულთა საბჭოს მუშაობის როლი და მნიშვნელობა. მაგალითად, გარდაბნის, საჩხერის, სამტრედიის, ფოთის სახალხო სასამართლოებში ჯერ კიდევ სრულად არ აფასებენ სახალხო მსაჯულთა მუშაობის მნიშვნელობას, რის გამო ზემოთ დასახელებულ ქალაქებსა და რაიონებში ამ მხრივ ჯერ კიდევ არასახარბიელო მდგომარეობაა.

ცხადია, სახალხო მსაჯულებად არჩეული არიან მოწინავე ადამიანები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ისინი არ საჭიროებდნენ სათანადო დახმარებას.

თებერვალში ჩვენს რესპუბლიკაში არჩეულ უნდა იქნას 11.000-მდე სახალხო მსაჯული. ეს კი დიდ ამოცანებს გვისახავს, რადგან სახალხო მსაჯულთა კარგად, გულისხმიერად შერჩევა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სასამართლო ორგანოების სწორი მუშაობისა სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

არჩევნები და პროფკავშირები

საქართველოს მშრომელნი დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ეტაპარებში იმზადებიან საქართველოს სსრ, აფხაზეთისა და აჭარის ასს უმაღლესი საბჭოებისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნებისათვის, რომელიც რესპუბლიკის პოლიტიკური ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იქნება.

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საოლქო პროფსაბჭოებს, პროფკავშირთა რესპუბლიკურ, რაიონულ, საქალაქო, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს დაავალა აქტიური მონაწილეობა მიიღონ არჩევნებისათვის მზადებასა და მოწყობაში, ყოველნაირად შეუწყონ ხელი საარჩევნო კამპანიის მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე მოწყობას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საარჩევნო კამპანიის პერიოდში ფართოდ უნდა გაშალონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მოსახლეობაში, განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებს შორის, რომლებიც პირველად მონაწილეობენ არჩევნებში; უნდა გააცნონ მუშა-მოსამსახურეებს სკკპ XXIII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის სანინაო და საგარეო პოლიტიკა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის (1966 წლის) პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მასალები, თვალსაჩინოდ დაანახონ საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლის არსებობის მანძილზე მოპოვებული წარმატებანი. პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საორგანიზაციო და მასობრივ-პოლიტიკური საქმიანობით ხელი უნდა შეუწყონ ყველა რგოლის მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, ხუთწლედის მეორე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმების წარმატებით შესრულებას.

პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა საარჩევნო კამპანიის დროს მაქსიმალურად უნდა გამოიყენონ პროპაგანდისტული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმა და საშუალება. ამ მიზნით კლუბებში, კულტურის სახლებსა და სასახლეებში, წითელ კუთხეებში, ბიბლიოთეკებსა და საერთო საცხოვრებლებში მოეწყობა ლექციები, მოხსენებები და საუბრები ამომრჩეველებთან, აჩვენებენ მსატვრულ, სამეცნიერო-პოპულარულ და ქრონიკალურ-დოკუმენტურ კინოფილმებს, გაიხსნება არჩევნებისადმი მიძღვნილი გამოფენები. უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ თვალსაჩინო აგიტაცია, კედლის გაზეთები, რადიო, მსატვრული თვითმოქმედება საარჩევნო კამპანიის მომსახურებისათვის.

საარჩევნო უბნებში პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა ჩამოაყალიბონ ამომრჩეველთა კლუბები, უზრუნველყონ ისინი სტენდებით, დიაგრამებით, პლაკატებით, ლიტერატურით, მოაწყონ ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები. (საქდესი).



Uვარლის რაიონის სოფელ ჭიკაანის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში ფართოდ გაჩაღდა დიდი იუბილესადმი მიძღვნილი სოციალისტური შეჯიბრება. აქ წელს ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ 70-80 ცენტნერი ყურძენი. ამჟამად მევენახეები ნაფუძველს უყრიან უზე მოსავალს.

სურათებზე: მარჯანე ზემოთ — მოწინავე მექანიზატორი **ტ. ნაცვლიშვილი,** ქვემოთ — ვენახის რიგთამორის მექანიზებული დამუშავება.

ფოტო **ი. დავითაშვილისა.** (საქდესის ფოტოქრონიკა).

შრომა და დასვენება

რუსთავის ამწესამშენებლო ქარხნის კოლექტივი ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადავიდა.

თუ 1966 წლის პირველ ნახევარში (ახალ რეჟიმზე გადასვლამდე) სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციით მიღებული მოგება 544 ათას მანეთს შეადგენდა, წლის მეორე ნახევარში ეს ციფრი 587 ათას მანეთამდე გაიზარდა. ასევე წლის პირველ ნახევარში წარმოების რენტაბელობა უდრიდა 19,4 პროცენტს, მეორე ნახევარში კი — 22,8 პროცენტს; უკანასკნელ ექვს თვეში პროდუქციის თვითღირებულება გეგმასთან შედარებით 124 ათასი მანეთით შემცირდა, მაშინ როცა პირველ ექვს თვეში იგი 72 ათას მანეთს უდრიდა. მკვეთრად გაუმჯობესდა მასალებისა და ელექტროენერგიის ეკონომიის მაჩვენებლები.

**გარდა ამისა, ქარხნის კოლექტივს საშუალება მიეცა მ

საუკთესო ცხოვრება

დადებითი შედეგები

გამოხმაურება იტალიაში ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტის გამო

რომი, 31 იანვარი. (საკ.). „თავმჯდომარე პოდგორნის სახელმწიფო ვიზიტი დამთავრდა კიდევ უფრო დადებითი შედეგით, ვიდრე მოველოდით", — წერს დღეს იტალიის საქმიანი წრეების ორგანო, გავლენიანი გაზეთი „ჯორნო", რომელიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიაში ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტის თვით ფაქტი ამ ბოლო წლების მანძილზე მიღწეული საერთაშორისო დაძაბულობის შენელების წარმატებათა მაჩვენებელი და შედეგია.

მთლიანად ასეთე აფასებს ვიზიტს იტალიის გაზეთების დიდი უმრავლესობა. „პოზიტიური შედეგები", — ასეთი სათაურით ბეჭდავს გაზეთი „პოპოლო" მოწინავე სტატიას, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ამ ვიზიტის შემდეგ საერთო ვითარება უფრო გამჭვირვალეა არა მარტო ორმხრივი ურთიერთობის განვითარებისათვის, არამედ საერთაშორისო დაძაბულობის პროცესისთვისაც, რომელშიც იტალიასა და სსრ კავშირს შეუძლიათ შეიტანონ საკუთარი და კონკრეტული წვლილი".

საბჭოთა კავშირ-იტალიის მოლაპარაკების შედეგები მოწმობენ, რომ შეფასებანი ზოგიერთი განსხვავების მიუხედავად, არის შეხედულებათა არაორაზროვანი დამთხვევა პოლიტიკური პროცესის ძირითად მიმართულებებზე", — წერს „პაეზი სერა".

განმარტავენ რა იტალიის სახელმწიფო მოღვაწეებთან ნ. ვ. პოდგორნის ოფიციალური მოლაპარაკების შედეგებს, „სტამპა", „მასაჯერო" და პრესის სხვა ორგანოები განსაკუთრებით გამოაყოფენ საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკეს იმ ადგილს, სადაც ნათქვამია: ორივე მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დამოუკიდებლობისა და ეროვნული სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას, ძალის გამოყენებასა და სხვა სახელმწიფოთა სუბნიო საქმეებში ჩარევაზე უარის თქმას, ყველა ხალხის უფლებათა თანასწორობას.

„ვიზიტის შედეგები, ეჭვგარეშეა, მეტად დადებითია, — წერს მოწინავე სტატიაში — გაზეთი „უნიტა". — ერთი მხრივ პოდგორნისა და მის თანმხლებ პირებს შორის, და მეორე მხრივ იტალიაში უმაღლესი სახელმწიფო და მთავრობის მოდვაწეებს შორის, გაიმართა გულწრფელი, გულღია და ნაყოფიერი დიალოგი... იგივე შეიძლება ითქვას საპაატიო საბჭოთა სტუმრის შეხვედრაზე რომსა და იტალიის სხვა ქალაქებში პოლიტიკური, ეკონომიური, სავაჭრო და კულტურული სამყაროს ცნობავლრიცხოვან წარმომადგენელთან. მხურვალე და გულითადი იყო ატმოსფერო, რომელშიც ხალხი ხვდებოდა საბჭოთა სტუმარს ყველგან, სადაც კი იგი იყო, და ეს თვალსაჩინოდ მოწმობს იტალიისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის გაუმჯობესებას".

პრავდა, 31 იანვარი. (საკ.). ჩეხოსლოვაკიური გაზეთები პირველ გვერდებზე ბეჭდავენ ცნობებს, რომ დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის სახელმწიფო ვიზიტი იტალიაში და ბეჭდავენ საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკეს შინაარსს.

„რუდე პრავო" ბეჭდავს რა კომუნიკეს შინაარსს, ხაზს უსვამს ორივე მხარის სურვილს იმის შესახებ, რომ უნდა განხორციელდეს შემდგომი ღონისძიებანი ევროპაში ურთიერთნდობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროს შექმნისათვის, რომ ხელსაყრელია, გაეაუმჯობესოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ევროპის ქვეყნების ურთიერთობა და განვითარდეს თანამშრომლობა ეკონომიურ, სავაჭრო, სამეცნიერო-ტექნიკურ და კულტურულ დარგში ევროპის სახელმწიფოთა შორის.

გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ კომუნიკე მეტად დადებითად აფასებს ხაბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის ახლანდელ განვითარებას.

ვარშავა, 31 იანვარი. (საკდესი). „პოდგორნის ვიზიტის გულწრფელი და გულითადი ატმოსფერო", „ეროვნული მოქმედება ევროპის კონფერენციის მოწვევისათვის", იყენებენ შეთანხმების შესაძლებლობებს...", — ასეთი სათაურებით ბეჭდავს პოლონეთის მთელი პრესა დღეს საბჭოთა კავშირ-იტალიის კომუნიკეს ტექსტს შინაარსს. გაზეთი „ეიჩე ვარშავი" წერს, რომ კომუნიკე აღნიშნავს ორივე ქვეყნის შეთანხმებას თანამდროვეობის ისეთ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, როგორიცაა საყოველთაო განიარაღება, განიარაღების კონფერენციის მოწვევა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს ყველა სახელმწიფო, 18 სახელმწიფოს კომიტეტის მუშაობა ჟენევაში.

'მოწოდება სიფხიზლისათვის

დამასკო, 31 იანვარი. (საკდესი). სირიის საზოგადოებრიობა გაგებით ეკიდება და დიდად იწონებს საბჭოთა მთავრობის განცხადებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნეონაცისტური და მეზეტარისტული ძალების საქმიანობის შესახებ. „საბჭოთა კავშირის მთავრობის განცხადება მოწოდებაა სიფხიზლისათვის დასავლეთ გერმანიაში ნაცისტების აღორძინების საშიშროებასთან დაკავშირებით", — წერს დღეს გაზეთი „ალ-ბაასი".

საყურადღებო როდია, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, რომ სსრ კავშირის მთავრობამ გამოიჩინა ინიციატივა ამ განცხადების გამოქვეყნებაში. სწორედ საბჭოთა ქვეყანა იყო ფაშისტური გერმანიის აგრესიის მთავარი ობიექტი. საბჭოთა კავშირს ყველაზე დიდი ზარალი მოუტანა ნაცისტური პიტლერული არმიის თავდასხმის შედეგად და მან ყველაზე დიდი წვლილი შეიტანა ფაშიზმზე გამარჯვებაში.

ნეონაცისტური ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის გამარჯვება ჰესენისა და ბავარიის არჩევნებში, განაგრძობს „ალ-ბაასი" — ამ შემაშფოთებელი პროცესების დადასტურებაა, რომლებიც ხდება ამჟამად დასავლეთ გერმანიაში. იქ ყველა ფეხს იკიდებს ფაშიზმი. ბონის ხელმძღვანელნი გველის ხვრელში ძვრებიან, რათა გაადიდონ არმიის შემადგენლობის რიცხვი და აღუჭურვონ იგი ატომური იარაღით. უკვე ახლა კი არმია ნატოს შეიარაღებული ძალების საფუძველია ევროპაში.

ანტიდემოკრატიული კანონპროექტი

ბრიუსელი, 31 იანვარი. (საკდესი). 1967 წლის 27 იანვარს შეიკრიბა ბელგიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს ფართო სხდომა. მთავრობის ანტიდემოკრატიული კანონპროექტი, რომელიც თვალისწინებს საბიუჯეტო დეფიციტის დაფარვას ახალი პირდაპირი და არაპირდაპირი გადასახადების შემოღებისა და ზოგიერთი სახელმწიფო ხარჯების ეკონომიის გზით, აღნიშნულია პოლიტბიუროს განცხადებაში. რომელიც დღეს გამოქვეყნა. ბელგიის კომპარტიის საინფორმაციო ბიულეტენმა.

„პოლიტბიუროს მიაჩნია, — ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, — რომ ყველა პარლამენტარმა, თუ გრძნობენ პასუხისმგებლობას ამომრჩეველთა წინაშე, გზა უნდა გადაუღობოს ამ ღონისძიებებს, რომლებიც ამ ქვეყანას ხელში უგდებენ რეაქციასა და ბანკებს".

ამერიკელ სენატორთა რეკომენდაციები

ვაშინგტონი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის კონგრესის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად 1,5-2 მილიარდი დოლარის იარაღის ყიდულობენ პენტაგონისაგან უცხოთის სახელმწიფოები. ამრიგად პენტაგონი „ხელს უწყობს ჩვეულებრივი იარაღის დაგროვებას ყველგან მსოფლიოში" და „გამალებულ შეიარაღებას".

მოხსენებაში შემდეგ ხაზგასმულია, რომ იარაღის გაყიდვის დარგში პენტაგონი ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრების დაპყრობას ლათინური ამერიკისა და შუა აღმოსავლეთის სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. მოხსენებაში ყურადღება ეთმობა იმას, რომ პროგრამაა, რომელსაც პენტაგონი ახორციელებს, ფართო გაქანება მიეცა და გასცდა მთავრობისა და კონგრესის კონტროლის ფარგლებს.

მოხსენების ავტორები ურჩევენ კონგრესს დეტალურად გაეცნოს ასეთ პრაქტიკას და აღონოს რამე. რათა შემცირდეს იარაღის ექსპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

დემონსტრაცია ოკინავაში

ტოკიო, 31 თებერვალი. (საკდესი). აღაფშემორტყმული აღმოჩნდა რიუკიუს კუნძულების საკანონმდებლო კრება, რომლის სესია დღეს დაიწყო. საკანონმდებლო კრების შენობის რიგგლივ მდებარე ქუჩები ქალაქ ნაჰაში (ოკინავის ადმინისტრაციული ცენტრი) ავსო 15 ათასზე მეტმა დემონსტრანტმა, რომლებიც მოითხოვენ, რომ საკანონმდებლო კრებამ აზლადელ სესიაზე არ განიხილოს ორი კანონმპროექტი, რომელთაგან ერთ-ერთი ითვალისწინებს მასწავლებელთა საგაფიცო ბრძოლის აკრძალვას, მეორე ზღუდავს მასწავლებელთა უფლებაა ქონდეთ პროფკავშირები.

კუნძულის ყველა სკოლაში შეწყდა მეცადინეობა. 10 ათასამდე მასწავლებელმა მჯდომარე გაფიცვა მოაწყო საკანონმდებლო კრების შენობასთან. გაფიცულთ მხარს უჭერენ მოსწავლეები, სტუდენტები და ოკინავის სხვა პროფკავშირთა წარმომადგენლები. ნახაში თავი მოუყარეს პოლიციის დიდ რაზმებს.

ამერიკელ სენატორთა

რეკომენდაციები

ვაშინგტონი, 31 იანვარი. (საკდესი). ამერიკის კონგრესის სენატის საგარეო საქმეთა კომისიის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ყოველწლიურად 1,5-2 მილიარდი დოლარის იარაღს ყიდულობენ პენტაგონისაგან უცხოთის სახელმწიფოები. ამრიგად პენტაგონი „ხელს უწყობს ჩვეულებრივი იარაღის დაგროვებას ყველგან მსოფლიოში" და „გამალებულ შეიარაღებას".

მოხსენებაში შემდეგ ხაზგასმულია, რომ იარაღის გაყიდვის დარგში პენტაგონი ახორციელებს პოლიტიკას, რომელიც მიზნად ისახავს ბაზრების დაპყრობას ლათინური ამერიკისა და შუა აღმოსავლეთის სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. მოხსენებაში ყურადღება ეთმობა იმას, რომ პროგრამაა, რომელსაც პენტაგონი ახორციელებს, ფართო გაქანება მიეცა და გასცდა მთავრობისა და კონგრესის კონტროლის ფარგლებს.

მოხსენების ავტორები ურჩევენ კონგრესს დეტალურად გაეცნოს ასეთ პრაქტიკას და აღონოს რამე. რათა შემცირდეს იარაღის ექსპორტი ამერიკის შეერთებული შტატებიდან.



მე-3 გვერდი, ხუთშაბათი, 2 თებერვალი, 1967 წ.

მოლაპარაკება დამთავრდა

ბუქარესტი, 31 იანვარი. (საკდესი). რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობები შეთანხმდნენ დაამყარონ დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალონ საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის რანგის დიპლომატიური წარმომადგენლები. ეს ნათქვამია კომუნიკეში, რომელიც ეხება რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის კორნელიუ მენესკუსა ვიზიტს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და რომელიც აჯერპრესის საგაზეთომ გამოაქვეყნა.

კომუნიკეში აღნიშნულია, რომ რუმინეთის მინისტრი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ ბრანდტთან მოლაპარაკებას აწარმოებდა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის განვითარების თაობაზე, აგრეთვე ორიეე მხარისათვის საინტერესო საერთაშორისო საკითხებზე. მენესკუ მიიღო აგრეთვე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერმა. კიზინგერმა.

ამერიკის შეერთებული შტატები.

ნიუ-იორკში დაიწყო „ვიეტნამის ომის წინააღმდეგ ხელოვნების მოღვაწეთა მრისხანე პროტესტის კვირეული". ერთი კვირის განმავლობაში ამერიკის ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლები — მსახიობები, დრამატურგები, კინორეჟისორები, მხატვრები, ხალხური სიმღერების შემსრულებელნი, მუსიკოსები, პოეტები ყოველდღიურად გამოვლენ ნიუ-იორკის უნივერსიტეტის აუდიტორიებში, ქალაქის თეატრებში, სკოლებში, ქუჩებსა და პარკებში, რათა გამოთქვან გულისწყრომა შეერთებული შტატების სამარცხვინო როლის გამო ვიეტნამის ომში.

კვირეულის პირველი ღონისძიება მოწყო თეატრ „ვილეჯში". აქ გამოსულ თეატრის მსახიობებს შორის იყვნენ ასევე ცნობილი „ბროდვეის ვარსკვლავები", როგორიც არიან ელი უოლერი, ენ ჯექსონი, ალან ალდა და ალან არკინი, აგრეთვე გამოჩენილი ზანგი მსახიობები დიანა სენდსი, ოსი დეივისი, გოლფრი კემბრიჯი. სალამოზე მსახიობებმა წაიკითხეს ბერტოლდ ბრეგტის ომის საწინააღმდეგო ლექსები, შეასრულეს სატირული ომის საწინააღმდეგო ხიმღერები, აგრეთვე აჩვენეს ცნობილი კარიკატურისტის ეიოულ ფეიფერის ნახატები მიხედვით შექმნილი ომის საწინააღმდეგო ფილმი „მუნროსი".

ნიუ-იორკის უნივერსიტეტის სტუდენტთა ცენტრში გაიხსნა რამდენიმე ახალგაზრა ამერიკელი მხატვრის ნამუშევართა უზარმაზარი გამოფენა. გამოფენის მთავარი თემაა პროტესტები ომის წინააღმდეგ, რომ შეერთებული შტატები ნაპალმითა და სხვა იარაღით ულეტენ სრულიად უდანაშაულო ვიეტნამელ ქალებსა და ბავშვებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ორასი უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა ხანგრძლივ სხდომებზე ერთ-ერთ ბანგაზვინელ წერილში ეროვნულ ინფორმაციის ბიუროს ოფიციალურ ბიულეტენში. ამ ცდის მიზანი ის იყო, რომ გამოეკვლიათ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს ომი ქალაქებზე. ბრუკლინ ბაზის ბაროკამერა გავსებული იყო ომიდან დაბრუნებულ ელ ჯექსონი, ალან ალდა და ალან არკინი, აგრეთვე გამოჩენილი ზანგი მსახიობები დიანა სენდსი, ოსი დეივისი, გოლფრი კემბრიჯი. სალამოზე მსახიობებმა წაიკითხეს ბერტოლდ ბრეგტის ომის

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა. ათობით ტონა მომაკვდინებელი ტვირთი დააყარეს ამერიკელმა მეკობრეებმა ქალაქ ვინიეს. დაღუპნენ სრულიად უდანაშაულო ბავშვები, ქალები, მოხუცები. დაღუპულთა შორის ამ გოგონას დედაც არის. ხუთასუნ: მოხუცი ლე ვან თხიკი და მისი დაობლებული დაკრილი შვილიშვილი.

ფოტო ე. კობელევისა. (საკდესის ფოტოქრონიკა).

ახალი კატასტროფა

ნიუ-იორკი, 31 იანვარი. (საკდესი). დღეს ხანძარში, რომელიც გაჩნდა დიდ სიმაღლეზე ფრენის ობიექტიციის დროს, სან-ანტონიოს (ტეხასის შტატი), ბრუკლინის სამხედრო-საჰაერო ძალების ბაზის ბაროკამერაში დაიღუპა ერთი მფრინავი, ხოლო მეორე ძლიერი სიდამწვრის გამო მძიმე მდგომარეობაში გაგზავნეს ჰოსპიტალში.

როგორც საგანგებოები იუწყებიან, წმინდა ანგელოზად ავსებულ ბაროკამერაში ხანძარი გაჩნდა დაახლოებით ინაგი ვითარებაში, როგორც კოსმოსურ ხომალდი „აპოლონ-1"-ში ამას წინათ მომხდარი ტრაგედიის დროს, როდესაც დაღუპა სამი ამერიკელი კოსმონავტი. — გრისომი, უაიტი და ჩაფი.

მფრინავთა გვარებს არ იტყობინებიან.

ნიუ-იორკი, 1 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის საინფორმაციო საგანგებო კორესპონდენტები სან-ანტონიოდან (ტეხასის შტატი) გადმოუცემენ ბრუკლინს სამხედრო-საჰაერო ბაზაში გუშინდელი კატასტროფის დაწვრილებით ცნობებს.

ხანგრძლივი ფრენის ობიექტიციის დროს ბაროკამერაში წარმოიშვა ხანძარი. კამერაში მყოფი ორივე მფრინავი დაიღუპა. ერთ-ერთი მათგანი 20 წლის უილიამ ბარტლი გარდაიცვალა ერთი საათის შემდეგ, ხოლო მეორე, რომლის სახელი ჯერ არ გადმოუცია — ხუთნახევარი საათის შემდეგ გარდაიცვალა ძლიერი სიდამწვრისაგან. როგორც კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-1", რომელშიც სამი კოსმონავტი დაიწვა, ბრუკლინის ბაზის ბაროკამერა გავსებული იყო წმინდა ჟანგბადით.

მფრინავები იმყოფებოდნენ დოლისმაგვარ კამერაში და ასრულებდნენ ტექნიკური უზრუნველყოფის სამუშაოებს, რომლებიც დაკავშირებული იყო 67 დღისათვის გათვალისწინებულ ექსპერიმენტთან. ამ ცდის მიზანი ის იყო, რომ გამოეკვლიათ, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს წმინდა ჟანგბადი ბოცვერის სისხლის მდგომარეობაზე. ხანძარი გაჩნდა ექსპერიმენტის მეორე დღეს.

იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგანგებოს ცნობებით, ბრუკლინის ბაზის ბაროკოსმოსური მედიცინის ცენტრის ხელმძღვანელებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ ხანძრის მიზეზი ჯერ დადგენილი არ არის. ექსპერტმა იმედად ძლიერი ეგზერეგა გამოიწვია, რომ ლიტონოს კაბინა, რომელშიც 16 საცდელი ბოცვერის დამწვარი გვამი დარჩა, ხანძრის შემდეგ ოთხი საათის განმავლობაში ბეტონავდა, ხოლო საღამოს კაბინაში კვლავ იფეთქა ალმა.

მაკანდმარეს მარიონეტთა გაფცლიონი

ჟენევა, 1 თებერვალი. (საკდესი). 19 იანვარს სამხრეთვიეტნამელმა ატაროტებმა მეტეკის რაიონში (ჩავინის პროვინცია) გაანადგურეს საგონელთა ჯარის ბატალიონი. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც თმოწმებს გინთავისუფლების სააგენტოს.

პატროლებმა, აღნიშნავს სააგენტო, 14 და 15 იანვარს ტეუზოუმოტის პროვინციაში ერთ-ერთ გზატეტეცილზე ხელთ იგდეს ორი ამერიკული ჯავშანიანი მანქანა და 19 ჯარისკაცი მოსპეს.

წითელას ეპიდემია ირანში

ლონდონი, 31 იანვარი. (საკდესი). წითელას ეპიდემიის შედეგად, რომელიც ჩრდილო-დასავლეთ ირანში გავრცელდა, მარტო სამ სოფელში 59 ბავშვი დაიღუპა, როგორც რეიტერის სააგენტოს თეირანელი კორესპონდენტი იუწყება, წარსულ კვირაში ბელუჯისტანში (სამხრეთ-აღმოსავლეთი ირანი) წითელათი დაიხოცა 148 კაცი.

სოლიდაროგა ვიეტნამელ ხალხთან

საუკეთესო ლოზუნგები, ბანერები, ფლაგები, ბოლოდ ... ...

ლ. შტეინი — სსრ კავშირის ჩემპიონი

გუშინ თბილისის რუსთაველის თეატრის მცირე დარბაზი ვერ იტევდა ჭადრაკის მოყვარულებს. უკანასკნელი ტურისადმი ინტერესი მართლაც რომ უჩვეულო იყო. საქმე იმაში იყო, რომ სწორედ ამ ტურს უნდა გამოევლინა ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი, ამასთანავე საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი.

პირველობის საკითხი დამოკიდებული იყო **სუეტინ-შტეინისა** და **სმისლოვ-გელერის** პარტიებზე. ამ პარტიებში მოელოდნენ შეუპოვარ ბრძოლას, მაგრამ მოხდა პირიქით — პირველში მეცხრე სვლაზე, ხოლო მეორეში მეშვიდე სვლაზე მეტოქეები ბევრს ეცადა ჭადრაკის მოყვარულებს. უკანასკნელი ტურისადმი ინტერესი მართლაც რომ უჩვეულო იყო. საქმე იმაში იყო, რომ სწორედ ამ ტურს უნდა გამოევლინა ჩვენი ქვეყნის ახალი ჩემპიონი, ამასთანავე საზონათშორისო ტურნირის მონაწილენი.

პირველობის საკითხი დამოკიდებული იყო **სუეტინ-შტეინისა** და **სმისლოვ-გელერის** პარტიებზე. ამ პარტიებში მოელოდნენ შეუპოვარ ბრძოლას, მაგრამ მოხდა პირიქით — პირველში მეცხრე სვლაზე, ხოლო მეორეში მეშვიდე სვლაზე მეტოქეები ბევრს ეცადა **მ. ტაიმანოვთან** გაერთიანებინა მდგომარეობა და მოგებისათვის იბრძოდა, **ა. ლეონი** თეთრებით ბევრს ეცადა **მ. ტაიმანოვთან** გაერთიანებინა მდგომარეობა და მოგებისათვის იბრძოდა, მაგრამ **მ. ტაიმანოვი** ზუსტად იცავდა თავს და ყაიმს მიაღწია. ასევე ყაიმით დამთავრდა **ა. გიპლის-ლ. პოლუგაევსკის** პარტია. ამ შედეგებმა **მ. ტაიმანოვსა** და **ა. გიპლისს** საშუალება მისცა თორმეტ-თორმეტი ქულა მოეგროვებინათ და საზონათშორისო ტურნირში მონაწილეობის რეალური მანსები გაუჩნდათ.

ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რით დამთავრდებოდა **ვ. კორჩნოი-ი. ნიკოლაევსკისა** და **ნ. კროგიუს-ვ. ოსნოსის** პარტიები. უარეს პოზიციაში **ვ. კორჩნოიმ** შეძლო ყაიმისთვის მიეღწია, ხოლო **ნ. კროგიუს-ვ. ოსნოსის** პარტია გადადებულია **ვ. ოსნოსისათვის** უკეთეს მდგომარეობაში.

ამრიგად, ტუნისის ორ საგზურს სამი პატრონი გაუჩნდა — **მ. ტაიმანოვი, ა. გიპლისი** და **ვ. კორჩნოი.** ასეთ შემთხვევაში მათ შორის უნდა მოეწყოს დამატებითი მატჩი.

ბ. გურგენიძემ ჩინებულად ითამაშა **ვ. დოროშკევიჩთან** და დააშამათა მოწინააღმდეგის მეფე. **დ. ბრონშტეინი** და **რ. ხოლმოვი** ყაიმზე შეთანხმდნენ. **ი. ნეი-ა. სავინისა** და **ვ. ლიბერზონ-ე. ვასიუკოვის** პარტიები გადაიდო.

დღეს დილით მოეწყობა გადადებული პარტიების დამთავრება, საღამოს კი შედგება ჩემპიონატის სახეიმო დახურვა.

ოლიმპიური ნაკრები ემზადება

პირველი თებერვლიდან სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური ნაკრები შეუდგა ახალი სეზონისათვის მზადებას მწვრთნელების **ბ. კაჩალინისა** და **ნ. სიმონიანის** ხელძძღვანელობით. აღლერში შეკრების დამთავრების შემდეგ ჩვენი ოლიმპიელები იაპონიაში გაემგზავრებიან და მონაწილეობას მიიღებენ სამთა ტურნირში. გარდა სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრებისა აკ ითამაშებენ იაპონიის ნაკრები და მექსიკის ჩემპიონი.

სსრ კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში თბილისის „დინამოდან“ შედიან: **მეკარე ურაშაძე,** მცველი **შერგელაშვილი** და თავდამსხმელი **ხუციშვილი.**

XXXIV 1967 სატურნირო ცხრილთან

ასეთ ვახათაურებდით ჩვენს წერილებს ოთხშაბათობით, როდესაც მონაწილენი ისვენებდნენ. ახლა კი მათ თამაში მოუხდათ. დასვენების დრო აღარ არის, ყველას ინტერესებს, როგორი იქნება საკავშირო ჩემპიონატის ფინალი.

როდესაც გულშემატკივარი ამ ტრიკრონებს წაიკითხავს, იგი უკვე საქმის კურსში იქნება, ეცოდინება ოთხი ბიდნიერის გვარი, ამიტომ ახლა პროგნოზის დრო აღარ არის.

რა განწყობილებით მოვლენ მოჭადრაკენი უკანასკნელ ტურზე? ორი მათგანი **შტეინი** და **გელერი** მოვა როგორც „ოქროს მაძიებელი“, დანარჩენ ლიდერებს სხვა დარი აქვთ — როგორ მოიპოვონ საზონათშორისო ტურნირის საგზური.

საკავშირო ჩემპიონატში 200 პარტია გათამაშდა, სატურნირო ცხრილი ის დოკუმენტია, საიდანაც ჩანს, რომ ფინიშზე მწვავე ბრძოლის მიუხედავად, ანგარიშია 110:90 „ყაიმების სასარგებლოდ“. ეს არ არის მაინცდამაინც სასიამოვნო შედეგი. მაგრამ რას იზამ! დაცვის ტექნიკა მეტად გაიზარდა, ყველას სურს მოიგოს და წაგება კი არავის უნდა. ავიღოთ, მაგალითად, **ლიბერზონი.** მან ხუთი დამარცხება იგემა სტარტზე, შემდეგ კი მთლად დაავიწყდა, როგორია წაგება. იგი განსაკუთრებული შეუპოვრობით იცავდა თავს **გელერთან** ძნიმე პოზიციაში და ყაიმსაც მიაღწია, ამ ყაიმმა **გელერი** გაანაწყენა. მას ხომ შეეძლო **შტეინს** დასწეოდა. ხედავთ — ყაიმი, რომელიც ასე ეჯავრებათ მაუურებლებს, ზოგჯერ ოქროდ უღირს.

ჯერ კიდევ ბოლო ტურამდე გამორიკვა, რომ **კორჩნოის** მიენიჭა „ყაიმების მეფის“ წოდება. მან ოხუთმეტი შეხვედრა დაამთავრა უშედეგოდ. ეს კიდევ არაფერი, მაგრამ თუ ერთი შეხვედრა კიდევ ყაიმით დამთავრა ბოლო ტურში, მაშინ **კორჩნოის** შეიძლება „დაუმარცხებლად დამარცხებულის“ ეწოდოთ.

როგორც ცნობილია, **ბოტვინიკი, პეტროსიანი** და **სმისლოვი** თამამაკოს არ ეწევიან. თბილისში კი წარმატება სწორედ იმ მონაწილეებმა მოიპოვეს, რომლებსაც ახე უყვართ პაპიროსი. შესაძლოა თბილის-ტუნისის მატარებელში სპეციალური კუპეც კი იყოს თამამაკოს მოყვარულთათვის. მე მხედველობაში მყავს **შტეინი, გელერი, კორჩნოი, ბიპლისი, კროგიუსი** და **ლეონი.** ერთადერთი, რომელსაც არ უყვარს თამბაქო, **ტაიმანოვი.** ბოლო ტურში მეტად მძაფრი იქნება **ლეონ-ტაიმანოვის** პარტია. ეტყობა, ლეონი ყოველნაირად ეცდება დაამარცხოს მეტოქე. მაგრამ ტურნირზე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ თვით ტაიმანოვიც იძულებულია მოგებაზე ითამაშოს.

როგორც ცნობილია, შაბათს **ლეონმა** ორი პარტია მოიგო, საშაბათს მისი საქმეები ბევრად უარესად წარიმართა, — ორჯერ წააგო. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ამაში დამნაშავე თვით ლეონია. არ შეიძლება ასე „კანკალი“ და მბოლოდ ყაიმზე ოცნება.

ყველა მონაწილეს ბოლო ტურში თავისი დარდი აქვს. **ბრონშტეინი, შტეინი** და შესაძლოა **ბიპლისიც** მოიხურავენენ დაეუფლონ სპეციალურ ჯილდოს ბოლო ხუთ ტურში საუკეთესო შედეგისათვის. რა თქმა უნდა, შტეინი უპირველეს ყოვლისა შეეცდება გაინაღდოს პირველი ადგილი და ამით დაეუფლოს „კომუნისტის“ ჯილდოს ყველაზე მეტი მოგებისათვის.

შესაძლოა **ნიკოლაევსკისა** და **დოროშკევიჩს** „სინდისი ქენჯნის“ — რატომ გაუსწორდნენ ასე მკაცრად **ლეონსა** და **ბიპლისს.** მაგრამ რა ვქნათ, ჭადრაკი ბრძოლაა, გარდა ამისა, ნიკოლაევსკისა და დოროშკევიჩის შორის ხომ დიდი ბრძოლა მიმდინარეობს... ბოლო ადგილისათვის. ყველას უნდა პირველი იყოს, მაგრამ ბოლო ადგილის მსურველი არავინ არის. სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს **გურგენიძემ.** გროზნოელი ოსტატი ეცდება დაამარცხოს იგი და თავი დააღწიოს ქალაქ ალბერტს. ბევრნი ფიქრობენ, ბრძოლა ტუნისში, ბოლოოლაევრის კი სხვა დარდი აქვს — რას იტყვიან მისი ბულვარული ტიტულოვანი კოლეგები!

დოქტორი **ბ. ბარბაკოვიჩი** ტურნირში მარცხის შემთხვევაში იქვე ივიწყებდა ამ შეჯიბრებას. ვთქვათ, ტარტაკოვერმა მარცხი იგემა თბილისში და მას შეეკითხნენ საქმე როგორ არისო, ტარტაკოვერი მაშინვე უპასუხებდა: მეკითხებით, განა თბილისში ტურნირი იყო?

ახლა შეეცდებიან თბილისის შეჯიბრების დავიწყებას **ბრონშტეინი, კოლუგაევსკი** და განსაკუთრებით **სმისლოვი.** ბრონშტეინი საუცხოოდ თამაშობდა სტარტზე და ფინიშზე, მაგრამ ცუდად ჩაჭარა მიტელშპილი. პოლუგაევსკისა და სმისლოვს კარგი არაფერი ახსოვთ არც სტარტიდან, არც შუა ტურნირიდან და ფინიშიდან. წარმოიდგინეთ, სმისლოვმა მე-10 ტურის შემდეგ ვერავის მოუგო. ხოლო რამდენი მეტოქის დამარცხება შეეძლო! რა თქმა უნდა, მეტად არასახიამოვნოა გამოჩენილ მოჭადრაკეთათვის ბრძოლიდან გამორთვა სამი წლით, მაგრამ ხომ ყველას ეკნება რევანშის აღების საშუალება.

სასიამოვნოა აღინიშნოს, რომ უკიდურესად დაძაბული ბრძოლისა და ასეთ ყველა მონაწილე თავს კარგად გრძნობს. ამაში, რა თქმა უნდა, დიდი როლი შეასრულეს უადრესად სტუმართმოყვარე მასპინძლებმა, ჩემპიონატის ბრწყინვალე ორგანიზატორებმა.

სალო ფლორი.
გროსმაისტერი.

სპორტული ქრონიკა

□ სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები ემზადებიან მსოფლიოს პირველობისათვის. ქალთა გუნდები ოქროს მედლებს გაიათამაშებენ ჩეხოსლოვაკიაში, ვაჟები — სამხრეთ ამერიკაში. ამჟამად ორივე ნაკრები კაუნასში იმყოფება. აქ მათ გამართეს ორ-ორი მატჩი. ქალთა ნაკრებმა დაამარცხა კაუნასის „პოლიტექნიკი“ 57:37 და 76:56. ვაჟთა ნაკრებმა მოუგო კაუნასის „ჟალგირისს“ 100:62, ხოლო მეორე მატჩი ამავე გუნდთან ფრედ (82:82) დაამთავრა.

□ ბერმანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გაიმართა სოციალისტური ქვეყნების მეგობრული არმიების სპარტაკიადა. ტრამპლინიდან ხტომაში ჰ. ფაქაძე მეოთხე იყო. პირველი ადგილი დაიკავა დ. ნოიენდორფმა (გდრ).

სპორტული ცხოვრებიდან

წაგებამ ხელი ვერ შეუშალა

რომი, 1 თებერვალი. (საკდესი). მოსკოვის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელები გავიდნენ ტრადიციული ახალგაზრდული ტურნირის მეოთხეფინალში. ეს ტურნირი მიმდინარეობს ვიარეჯოში (ჩრდილოეთი იტალია). მოსკოველებმა განმეორებით მატჩი იტალიის „ბრეშიას“ კლუბის წინააღმდეგ წააგეს ანგარიშით 2:5, მაგრამ ბურთების უკეთესი შეფარდების გამო (7:5) განაგრძობენ ბრძოლას. 2 თებერვალს ისინი შეხვდებიან „ბოლონიის“ კლუბს, რომელმაც ორი მატჩის შემდეგ ტურნირიდან გამოთიშა იუგოსლავიის ახალგაზრდა ფეხბურთელთა კლუბის „ვოივოდინას“ ფეხბურთელები ანგარიშით 1:0 და 0:0. სამ სხვა მეოთხედფინალურ მატჩში გამოვლენ: იტალიის „ფიორენტინა“ — ესპანეთის „ბარსელონა“, იტალიის „მილანო“ — იტალიის „ტორინო“, იტალიის „იუვენტუსი“ — იტალიის „რომა“, ფარმატების შემთხვევაში „ბურევესტნიკი“ ნახევარფინალში 4 თებერვალს შეხვდება „იუვენტუს“-„რომას“ შორის გამართულ მატჩს.

ოლიმპიადა ტოკიოში

ტალინელებს მოსწონთ ეს გამოფენა

ტალინი. (საკდესის კორ.). ესტონეთის დედაქალაქის საზოგადოებრიობა ინტერესით შეხვდა ქართული სახვითი ხელოვნების ორი გამოჩენილი ოსტატის შემოქმედების გამოფენას, რომელიც გიორგი ტალინის მხატვართა სახლში.

ესტონელი სპეციალისტები დიდ შეფასებას აძლევენ საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის **ელენე ახვლედიანის** პეიზაჟებს. ტალინელებს განსაკუთრებით მოსწონთ სურათები, რომლებიც ასახავენ საქართველოს ბუნებას, მის თავისებურებას არქიტექტურას. დამთვალიერებლებზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე პარიზში შექმნილი ტილოები. ისინი ამაყოფილებით ეცნობიან თავიანთი მშობლიური ქალაქის ხედებს, რომლებიც მხატვარმა შეასრულა 1959 წელს ტალინში ყოფნის დროს.

საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის **ქეთევან მალალაშვილის** მიერ შექმნილ პორტრეტთა გალერეაში დამთვალიერებელთა ყურადღებას იპყრობს მხატვრის უნარი ფსიქოლოგიურად გადმოსცეს ადამიანთა ხასიათი, გემოვნებით შერჩეული ფერები.

გამოფენის გამფორმებელმა მხატვარმა ვ. პარონმა აღნიშნა, რომ ესტონეთის სახვითი ხელოვნების ოსტატებისათვის ძალზე სასარგებლოა ქართველი კოლეგების შემოქმედების გაცნობა. ესტონეთში ეს ექსპოზიცია ეწყობა საიუბილეო წლის ღონისძიებათა გეგმის შესაბამისად.

ახალი ამბები

ზღაპრიდან — სცენაზე

ფრუნზე. (საკდესი). ყირგიზეთის დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართველი კომპოზიტორის ვ. გოკიელის საბავშვო ოპერის „წითელ-ქუდას“ პრემიერა. შარლ პეროს ზღაპრის გმირები გაცოცხლდნენ ყირგიზეთის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სცენაზე.

ყირგიზეთის სსრ სახალხო არტისტის ვ. ვასილიევის მიერ დადგმულ სპექტაკლს წარმატება ხვდა. სპექტაკლი ჭეშმარიტად ახალგაზრდული აღმოჩნდა, რადგან როლებს უმთავრესად ახალგაზრდა მსახიობები, სხვადასხვა კონსერვატორიის ახლადკურსდამთავრებულნი ასრულებდნენ.

სპექტაკლი ლამაზად გააფორმა ყირგიზეთის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ა. მოლდახმატოვმა. ბავშვებმა რესპუბლიკის უდიდესი თეატრის კოლექტივისაგან კარგი საჩუქარი მიიღეს. ეს მესამე საბავშვო სპექტაკლია, რომელიც დაიდგა ამ თეატრის სცენაზე.

ბედნიერი ბილეთი

მართლაც ბედნიერი ბილეთი შეიძინა თბილისში მცხოვრებმა პენსიონერმა **შ. მაისურაძემ,** რომელმაც შემნახველ სალაროში წარადგინა სსრ კავშირის დოსაფის ავტომოტოლატარიის 39 თანრიგის № 981281 ბილეთი, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ვოლგა“.

მღერიან აბესაძეები

ტყიბული, (საკ. კორ.). სოფელ მუხურაში თვალწარმტაცი გორაკზე აგებულ ორსართულიან ოდა-სახლში ცხოვრობს ძველი პედაგოგის, ქართული ხალხური სიმღერების დიდი მოტრფიალის ზოტინე აბესაძის ოჯახი.

ზოტინე აბესაძის ვაჟებიდან ორი პედაგოგია, ერთი მუსიკალურ ტექნიკუმში სწავლობს, ერთი საბჭოთა არმიის რიგებშია, ხოლო დანარჩენი სამი სხვადასხვა საპუშაოზე მუშაობს. ყველა ძმას შესანიშნავი ხმა აქვს და ხალხურ სიმღერებს დიდი ოსტატობით ასრულებენ. ძმებთან ერთად მღერის მათი ეროვნული და ნუსუ, რომელიც აგრეთვე პედაგოგად მუშაობს თავის მშობლიურ სოფელში.

ოჯახურმა ანსამბლმა მრავალი ხალხური სიმღერა აღადგინა და შეისწავლა. აბესაძეების მიერ შესრულებული სამი სიმღერა „მოდი, მოდი, გაზაფხულო“, „დაგელოცოთ მარჯვენა“ და „გახსოვს“ ფირზეა ჩაწერილი. მათ ხშირად გადმოსცემენ რადიოთი. და-ძმანი შესანიშნავად მღერიან სიმღერებს „პატარა საყვარელო“, „შაშვი — ყაკაბი“, „აბესაძეების ნადური“, „სალამურო“, „მრავალჟამიერ“ და სხვ.

აბესაძეების ანსამბლი ხშირად გამოდის მეშახტეთა კულტურის სასახლეში, სოფლის კლუბში, ადგილობრივი რაიონი.

ახალი წიგნები

ალიო მირცხულავა — სიფაბუკე მეაბრის. კრებულში შეტანილია სხვადასხვა წლებში დაწერილი ლექსები, რომლებშიც გამოჩენილი ქართველი პოეტი შთაგონებით უმღერის სამშობლოს, ახალგაზრდობას, სიყვარულს. რედაქტორი ი. ხოშტარია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

სიკო ფაშალიშვილი — დაუვიწყარი შეხვედრები. მოგონებათა წიგნი. მეორე გადამუშავებული და შევსებული გამოცემა. რედაქტორი ნ. ლორთქიფანიძე. გამომცემლობა „ნაკადული“.

ლავრენტი ჭიჭინაძე — ორი ნაპირი. საბავშვო მოთხრობების კრებული. წინასიტყვაობა („კეთილი გულით ნალაწი“) გიორგი კაჭახიძისა. რედაქტორი მ. გვარამია. გამომცემლობა „ნაკადული“.

თენგიზ გოგოლაძე — კაცი კაცისა. რომანი, წიგნი პირველი. რედაქტორი გრ. ჩიქოვანი. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“.

აკაკი ბელოვანი — დაფერფლილი დიდება. ისტორიული რომანი, რომლის მთავარი გმირია ალორძინების ხანის დიდი იტალიელი მოაზროვნე და პოეტი ჯორდანო ბრუნო. რედაქტორი ნ. გონაშვილი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

ოთარ მამფორია — ლექსები. რედაქტორი ვ. ჯავახაძე. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“.

მზე, თოვლი, თხილამურებით სრიალი და ციგაობა დიდ სიამოვნებას მგვრის დამსვენებლებს ბაკურიანში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ამინდი

„ხუმარა“ ალიხანი

• სასამართლო დარბაზიდან •

ალიხან ... **ალიხანი** — ... **ალიხანი** — ... **ალიხანი** —